საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 164

ქ. თბილისი

11/08/2020

განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის - ბაკურციხე-წნორის შემოსავლელი საავტომობილო გზის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრაქტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა (შემდგომში - დეპარტამენტი) Kocks Consult GmbH-ს შორის 2017 წლის 14 მარტს გაფორმებული №SLRPIII/CS/QCBS-04 ხელშეკრულების საფუძველზე, დეპარტამენტში 2020 წლის 27 ივლისის წერილით (დეპარტამენტში რეგისტრაციის თარიღი: 27.07.2020წ. №16528/2) წარმოდგენილი, შპს საპროექტო საკონსულტაციო კომპანია ,,ბითი"-ს მიერ 2020 წლის 19 ივლისს შედგენილი, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - ბაკურციხე-წნორის შემოსავლელი საავტომობილო გზის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმებისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ" პუნქტის, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის №487 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის მე-45 მუხლის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №43/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დებულების" მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის - ბაკურციხე-წნორის შემოსავლელი საავტომობილო გზის პროექტით გათვალისწინებული გზის განთვისების

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ზოლში მოქცეული, საჯარო რეესტრში მცდარი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით;

2. ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება დაევალოს დეპარტამენტის გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს;

3. ამ ბრძანებისა და ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული საკადასტრო აღწერის შედეგების, გზის განთვისების ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი მდებარეობის ამსახველი გეგმების საჯარო გაცნობისათვის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი წერეთელი

თავმჯდომარის ფუნქციების დროებითი შემსრულებელი